# უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებს ქრისტეს აღდგომა მიულოცა

***სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 20.04.2025.*** *ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, 2025 წლის 20 აპრილს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ მისალოცები გაუგზავნა დიდი ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის უნეტარეს პატრიარქს, იოანე X-ს; წმინდა ქალაქ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის უნეტარეს პატრიარქს, თეოფილე III-ს; სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს; სერბეთის უწმინდეს პატრიარქს, პორფირეს; რუმინეთის უნეტარეს პატრიარქს, დანიელს; ბულგარეთის უწმინდეს პატრიარქს, დანიელს; ტირანისა და სრულიად ალბანეთის უნეტარეს მთავარეპისკოპოსს, იოანეს; ვარშავისა და სრულიად პოლონეთის უნეტარეს მიტროპოლიტს, საბას; ჩეხეთის მიწებისა და სლოვაკეთის უნეტარეს მიტროპოლიტს, როსტისლავს; სრულიად ამერიკისა და კანადის უნეტარეს მიტროპოლიტს, ტიხონს; ოხრიდისა და მაკედონიის უნეტარეს მთავარეპისკოპოსს, სტეფანეს.*

*მისალოც გზავნილში, კერძოდ, ნათქვამია:*

გულითადად გილოცავთ უფლის აღდგომის დღესასწაულს და მოგმართავთ ძველი საეკლესიო მისალმების სიცოცხლის დამადასტურებელი სიტყვებით:

ქრისტე აღდგა!

ახლა ჩვენთვის, მორწმუნეთათვის, დადგა გრძელი, მარადიული და ჩაუქრობელი ნათელი დღე – საიდუმლო პასექი (წმ. იოანე ოქროპირი. სიტყვა მე-6 წმინდა პასექზე). ვზეიმობთ რა უფალ იესოს საფლავიდან აღდგომას, რომელიც არის პირმშო მკვდართაგან (კოლ. 1:18), და რომელმაც შეირიგა ქვეყანა (2 კორ. 5:19), ქებასა და მადლობას აღვუვლენთ მას ზეციური სასუფევლის მემკვიდრეობის შესაძლებლობისთვის.

ეს ზეიმი აღავსებს ჩვენს გულებს ენით გამოუთქმელი სიხარულით, გვაძლიერებს მიწიერ ასპარეზზე მწირობისთვის და აღგვძრავს შეუსუსტებელი ძალითა და კადნიერებით ვაუწყოთ ახლობლებსა და შორებლებს საუკუნო ნუგეში და სასოება კეთილი მადლით (2 თეს. 2:16).

მკვდრეთით აღდგომილმა ქრისტემ დაე, მოგმადლოთ თქვენ და თქვენს ღვთისმოყვარე სამწყსოს მშვიდობა და დღეგრძელობა, გარდამოგივლინოთ მტკიცე ჯანმრთელობა და თავისი უხვი შემწეობა თქვენს საწინამძღვრო ღვაწლში.

ძმური სიყვარულით აღდგომილ უფალში,

**+ კირილე,**

**მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი**

---

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93109/